



ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ ორი ინგლისური თარგმანის
შეპირისპირებითი ანალიზი

მარიამ ზაჯაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ანგლისტიკა

ხელმძღვანელი: ელენე ტატიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბაჯაძე

15.06.2023

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლისა“ და მისი ორი, სხვადასხვა დროს შესრულებული ინგლისური თარგმანის შეპირისპირებით ანალიზს (მთარგმნელები: დონალდ რეიფილდი და ლელა ჯგერენაია). ანალიზისას გათვალისწინებულია სამი ძირითადი ფაქტორი: ა) ადრეული და გვიანდელი თარგმანის ურთიერთმიმართება - კვლევის ეს ნაწილი ეყრდნობა ხელახალი თარგმანის შესახებ არსებულ თეორიებს. სხვა შესაძლო ფაქტორების ზეგავლენის გამოსარიცხად, ამ შემთხვევაში, საანალიზო ერთეულები მეტწილად მოიცავს ნეიტრალურ, სტილისტურად არამარკირებულ ლექსიკას; ბ) სამიზნე ტექსტებში გამოვლენილი მთარგმნელობითი მიდგომები - ამ ტიპის განსხვავებათა ანალიზისას გამოყენებულია პიტერ ნიუმარკის თეორია სემანტიკური და კომუნიკაციური თარგმანის შესახებ. ნიუმარკის ეკვივალენტობის თეორიის ფარგლებშივე გაანალიზებულია მხატვრული ხერხების, საკუთარი სახელებისა და კულტურული რეალიების ამსახველი ლექსიკის გადატანა სამიზნე ტექსტებში, რისთვისაც დამატებით მოვიხმობ ლორენს ვენუტის თეორიას გაშინაურებისა და გაუცხოების სტრატეგიების შესახებ; გ) მთარგმნელთა მიერ შინაარსის სხვადასხვაგვარი გააზრება.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რეიფილდისა და ჯგერენაიას თარგმანებს შორის განსხვავებები, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ავხსნათ ხელახალი თარგმანის ფაქტორით - მეორე მთარგმნელის მცდელობით, თავი აარიდოს პირველის მიერ გამოყენებულ ლექსიკასა და ენობრივ სტრუქტურებს. სამიზნე ტექსტებს შორის განსხვავება განსაკუთრებით მკაფიოა მთარგმნელობითი მიდგომის დონეზე: რეიფილდი მეტწილად უპირატესობას ანიჭებს სემანტიკურ თარგმანს და ცდილობს, თარგმანში ასახოს არა მხოლოდ წყარო ტექსტის ლექსიკური ერთეულების სემანტიკა, არამედ, ზოგ შემთხვევაში, სინტაქსური მიმართებებიც. ჯგერენიასთვის კი პრიორიტეტია კომუნიკაციური მიდგომა, თუმცა ფიქსირდება საპირისპირო შემთხვევებიც. ამასთანავე

ზოგიერთი მონაკვეთი სხვადასხვაგვარად აქვთ გააზრებული მთარგმნელებს, რაც განსხვავების გამომწვევ კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, დონალდ რეიფილდი, ლელა ჯგერენაია, ხელახალი თარგმანი, პიტერ ნიუმარკის სემანტიკურ-კომუნიკაციური მიდგომა.

Abstract

The thesis presents a contrastive analysis of Vazha Pshavela's "Host and Guest" and its two English translations, the first by Donald Rayfield and the second by Lela Jgerenaia. The analysis is based on three factors: a) The effect of retranslation. It has been revealed that the second translator tends to opt for lexical and syntactic equivalents other than those used in the earlier translation. In this part of the analysis, I mainly focus on stylistically neutral high-frequency vocabulary to rule out the impact of other possible factors. The high rate of synonymous equivalents found in the two translations suggests that the differences in the translators' choices may not always be coincidental. b) Translation approaches employed by the translators: I mainly draw on Peter Newmark's theory of semantic and communicative approaches to translation but additionally refer to Venuti's foreignization and domestication when analyzing the rendering of proper names and culture-related vocabulary by the two translators. The study revealed that Rayfield gives preference to semantic translation, while Jgerenaia predominantly employs the communicative approach. c) Interpretative differences: the study has identified a number of passages in the source texts that are differently understood and rendered by the translators.

Key Words: "Host and Guest" by Vazha-Pshavela, Donald Rayfield, Lela Jgerenaia, retranslation, semantic and communicative translation.